IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

აპრილი, 2017

ღია მმართველობის პარტნიორობის წარმომადგენლების შეხვედრა ღია მმართველობა საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან

2017 წლის 5 აპრილს, თბილისში გაიმართა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამდივნოს დირექტორის ჯო პაუელისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის დირექტორის პოლ მაასენის შეხვედრა ღია მმართველობა საქართველოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

შეხვედრამ შესაძლებლობა მისცა OGP-ის პროცესში ეროვნულ დონეზე ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს - საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, თბილისის მერიას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს - ერთობლივად განეხილათ საქართველოს ხედვა, გეგმები და მოლოდინები 2017 წლის ოქტომბრიდან საქართველოს OGP-ის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით.
იხილეთ მეტი

დისკუსია „კერძო სექტორთან დიალოგის მნიშვნელობა კანონპროექტის კონცეფციის შემუშავების ეტაპზე“

2017 წლის 30 მარტს, IDFI-მ გამართა დისკუსია „კერძო სექტორთან დიალოგის მნიშვნელობა კანონპროექტის კონცეპტუალური შემუშავების სტადიაზე“. ღონისძიებამ საშუალება მისცა კერძო და საჯარო სექტორის 30-ზე მეტ წარმომადგენელს, ესაუბრა

საჯარო-კერძო დიალოგის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე რეფორმის დაგეგმვის საწყის ეტაპზე.

“საჯარო თანამონაწილეობა აუცილებელია ეფექტიანი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. IDFI-ის მიმდინარე ინიციატივა ერთადერთია, რომლიც ამოწმებს კანონპროექტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხს“ - განაცხადა თამარ ქაფიანიძემ (USAID G4G) მის მისასალმებელ სიტყვაში.
იხილეთ მეტი

კოალიცია ეხმაურება სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის მიზნით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინიციატივას

„კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ეხმიანება ბოლო პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან მედიაში გაკეთებულ განცხადებებს და მოწოდებებს, რომლებშიც საუბარია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ახალი რეგულირებების საჭიროებაზე ასევე მედიის თვითრეგულირების მექანიზმების გაუმჯობესებაზე, რათა სათანადოდ დაცული იქნეს სასამართლოს ავტორიტეტი და მოსამართლეთა რეპუტაცია. საგულისხმოა, რომ სასამართლოს ავტორიტეტის დასაცავად გარკვეული სანქციების შემოღების ინიციატივა ასევე განიხილებოდა მართლმსაჯულების სისტემის სტრატეგიის სამუშაო ჯგუფებში, რამაც პროექტში ჩართული საერთაშორისო ექსპერტების და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია.
იხილეთ მეტი

სამუშაო შეხვედრა კერძო სექტორის წარმომადგენლებთან - ინტერნეტის რეგულირება საქართველოში



IDFI-ის ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ონლაინ კონტენტის დაბლოკვის, გაფილტვრისა და მოხსნის რეგულაციების შესახებ. შეხვედრას ესწრებოდნენ სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, კერძოდ: მაგთიკომი, ჯეოსელი, ბილაინი, კავკაზუს ონლაინი, სილქნეტი, საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია, adjara.com, LPA და „Digital Report.

ღონისძიების მიზანი იყო საქართველოში ინტერნეტ შეზღუდვის სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენა და ონლაინ კონტენტის დაბლოკვის, გაფილტვრისა და მოხსნის შესახებ კერძო სექტორის პოზიციების გათვალისწინება. იხილეთ მეტი

საკონსტიტუციო სასამართლომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტი დააწესა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 27 მარტს დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში წარდგენილი პროექტების შემფასებელ დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობის კონფიდენციალურობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით. იხილეთ მეტი

კოალიციის მიმართვა მოსამართლეთა რიგგარეშე კონფერენციას

“კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის” ეხმაურება მოსამართლეთა მე-20 რიგგარეშე კონფერენციის დანიშვნას, რომელმაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორი ახალი წევრი უნდა აირჩიოს. იხილეთ მეტი

ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ახალი სისტემა – ID-FI-ის შეფასება

საქართველოში თანამდებობის პირებს კანონით ევალებათ საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ყოველწლიურად შევსება.

დეკლარაციები საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე არის ხელმისაწვდომი. სისტემა მეტწილად გამართულად მუშაობს, თუმცა მას მაინც აქვს გარკვეული ხარვეზები, პირველ რიგში კი ის, რომ არ ხდება დეკლარირებული მონაცემების გადამოწმება და შეუსაბამობების ან განზრახ არასწორი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში შესაბამისი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. იხილეთ მეტი

ბიზანტიური პოლიტიკა ჰყვავის საბჭოთა საქართველოში

IDFI გთავაზობთ სსრკ-ში ამერიკის საელჩოს წარმომადგენლის, პოლოფის ვიზიტის ფარგლებში მომზადებულ კიდევ ერთ ანგარიშს, რომელიც ხელმისაწვდომია ვიკილიქსის მონაცემთა ბაზაში და რომელიც ასახავს 1991 წლის დასაწყისში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. იხილეთ მეტი

საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტით შემოთავაზებული სიახლეების შეფასება

IDFI მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტში პოზიტიური ინიციატივების პარალელურად, სამწუხაროდ ასევე არის მნიშვნელოვანი ნეგატიური ცვლილებები, რომლებიც არ ემსახურება ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების და პრინციპების განმტკიცების ინტერესს. შესაბამისად, მოვუწოდებთ ხელისუფლებას საკონსტიტუციო პროექტის საერთო სახალხო და ასევე შემდგომში, საპარლამენტო განხილვებისას მხედველობაში მიიღოს ის რეკომენდაციები, რომლებიც ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯგუფების მიერ იქნა დაყენებული. ასევე, აუცილებელია ხელისუფლებამ მაქსიმალურად სრულყოფილად გაითვალისწინოს საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები პროექტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციური ცვლილებები ემყარებოდეს ფართო საზოგადოებრივ კონსესუს და არა ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის შეხედულებებს და ინტერესებს. იხილეთ მეტი

კოალიციის შეფასებით მოქმედმა საბჭომ მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი უნდა შეაჩეროს

კოალიცია
დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

კოალიცია ეხმიანება მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსს, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 84 ვაკანტურ თანამდებობაზე, მიმდინარე წლის 17 თებერვალს გამოაცხადა. კონკურსის ფარგლებში უკვე მოხდა განაცხადების გადარჩევა და გასაუბრებაზე 105 კანდიდატის დაშვების გადაწყვეტილება იქნა მიღებული. იხილეთ მეტი